# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№1716 2016 წლის 24 აგვისტო ქ. თბილისი

## სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ დასადები შეთანხმების თაობაზე

1. „უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“, სამხრეთ კავკასიური მილსადენის ოფციური გაზის კომპანიასა (South Caucasus Pipeline Option Gas Company Limited) და საქართველოს მთავრობას შორის დასადები შეთანხმება.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შეთანხმებას, საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა, კახა კალაძემ.

3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის $27^{2}$ მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამ განკარგულების გამოცემის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაცია (გარდა საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტისა) და ინფორმაცია (მათ შორის, პროექტის განმარტებითი ბარათი) მიჩნეულ იქნეს კომერციულ საიდუმლოებად.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი